საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

გაცნობებთ, რომ შპს „ვინგს"-ი, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულის ტერიტორიზე, გეგმავს არსებული ტბორის ექსპლუატაციას.

აღნიშნულ ტბორთან დაკავშირებით, ფიზიკური პირის, გელა გამტკიცულაშვილის მიერ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, რამდენჯერმე იყო წარდგენილი სკრინინგის განცხადება. დღეისათვის, აღნიშნული ტბორი, შესყიდული იქნა შპს „ვინგს"-ის მიერ და კომპანიამ, თანდართულ სკრინინგის ანგარიშში, გაითვალისწინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 2 თებერვლის წერილში წარმოდგენილი შენიშვნები.

ტბორის მესაკუთრის ცვლილება არ უკავშირდება ტბორის დანიშნულების ცვლილებას, ტბორის ფუნქციონირება კვლავ სარეკრიაციო-დასასვენებელი დანიშნულებით გაგრძელდება.

ზემოაღნიშნული ტბორის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლისა და ამავე კოდექსის მე-2 დანართის 9.9 პუნქტის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას, შესაბამის ანგარიშთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ტბორის ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში.

პატივისცემით,

ნიკა ურუშაძე

შპს „ვინგს"-ის დირექტორი

17.03.2022

№ 6045
"18" 03 2022